განმარტება ,,მზის საგალობლისთვის“

პატივცემულო ჟიურის წევრებო! ვიდრე საკონკურსო ნაწარმოებს წაიკითხავთ, გთხოვთ, ჯერ განმარტება გაეცნოთ.

ნაწარმოები პირდაპირ პასუხობს თემას: ენერგოეფექტურობის სხვადასხვა წყაროს მოძიებას და აღწერას ლიტერატურულ ნაწარმოებში.

ლილე, როგორც მოგეხსენებათ, არის ღვთაება მზე, სვანურად ანუ უძველეს ქართულ დიალექტზე. შუმერულად მისი შესატყვისია - ენლილი, ბერძნულად ჰელიოსი და ა.შ. ე.ი. მე გამოვიყენე ადრეანტიკური და ანტიკური ხანის ღვთაებები ალეგორიად, რათა თანამედროვე დროში გადმომეტანა ახალი, მაგრამ დავიწყებული ალტერნატიული ენერგიის წყარო.

ქვაზე დადებული მზე, ვიღაცამ აიღო და ა.შ მზე არის ენერგიის მნიშვნელოვანი წყარო და ეკოლოგიურად სუფთაა. მისი სახით მე ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ ადამიანებმა ეს ენერგიის წყარო არა თავისი სიხარბისთვის უნდა გამოიყენონ, არამედ ერთმანეთისთვის და ეკოსისტემის გაჯანსაღებისთვის. ამასთან ,,ლილე“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ატარებს ლიტერატურულ კონკურს და მუშაობს განახლებადი ენერგიის საკითხებზე. იგი ერთგვარი ალტერნატიული ენერგიის წყარო გამოდის მწერლებისთვის, ჩვენ, მისგან ვიღებთ ვირტუალური ენერგიას, რომელიც იხარჯება ნაწარმოების შესაქმნელად და მიგვყვება შემდეგ კონკურსამდე.

ამით მე წარმოვაჩინე არასამთავრობო ორგანიზაციის არა მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობა, არამედ მათი სულიერი მხარეც. განვმეორდები, ლილე ჩვენი განახლებადი ენერგიის წყაროა. მაინდამაინც საბავშვო ბაღის წალამით გათბობაზე, ქარის წისქვილებზე ან ნაკელის გაზის საწვავად გარდაქმნაზე უნდა ვწერო?

მზეა ჩვენთვის ეს კონკურსი და ერთმანეთს კი არ უნდა შევაახარბოთ მასში მოპოვებული წარმატება ან ერთმანეთი დავჩაგროთ ისე, როგორც მე გამიკეთეს ამ კონკურსზე, როცა ერთ-ერთმა, ხუთიდან, 1 ქულა დამიწერა და დანარჩენებმა შვიდიდან-ათის ჩათვლით, რითაც მესამე ადგილი წამართვეს. გულში ავანთოთ მზედ ჩვენი სიკეთე და ზეცაში შემოქმედის მიერ ანთებული მზე ხანგრძლ;ივად გაგვინათებს გზას.

ამაზე მეტი რა უნდა გამომეგონებინა? ან რა უნდა დამეწერა?

მზის საგალობელი

,,სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე და წინ დაგხვდებაო“

ქართული ანდაზა

ვიღაცამ ჩამოიარა, ქვაზე დადებული ლილე აიღო და გზას გაუდგა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, წინ მეზობელი შემოეყარა, ლილე უჩვენა და შეახარბა.

გასივდა მეზობლის გული, ბოღმით აივსო. ეგ, ლილე, მე უფრო შემეფერებოდა და ამას ვინ ჯანდაბამ მიაშავაო?

ხარბი მეზობელი ლილეს პატრონთან გაიქცა: ,,ასე და ისეო, შენ, რომ ქვაზე ლილე დადე, მას ჩემმა მეზობელმა წინ დახვედრა არ დააცალა, აიღო და ყველას ახარბებსო“.

- მერე, მე რა ვქნაო?
- წაართვი და მე მომეციო!
- შენ რადაო?
- მე, იმ ლილეს ქვაზე დავდებ, ადამიანებს გზას გაუნათებს და შენ წინ დაგხვდებაო!
- იმას რად წავართვაო? შენც მოგცემ და მოიხმარეო, ქვაზე დადე და წინ დამხვდებაო!

მისცა იმასაც ლილეს პატრონმა ლილე, იმანაც აიღო და წავიდა, გულში კი ეს გაიფიქრა:

- ახლა, მეც შევახარბებ ჩემს მეზობელს ნაბოძებ ლილეს, მაგრამ ლილეს პატრონს ამას ქვაზე არ დავუდებო, ის ლილე ჩემი მეზობლისთვის არ უნდა დაეტოვებინაო.

მორალი ასეთია: ერთი ლილე გულში უნდა გენთოს, მეორე ზეცაშიო, ქვაზე არ დაიდებაო!